

**საქართველოს მთიანეთში მესაქონლეობის არსებული პრობლემები**

**ლევან თორთლაძე**

(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი)

**რეზიუმე:** განხილულია მესაქონლეობის არსებული მდგომარეობა საქართველოს მთიანეთში, სადაც ქვეყანაში მოშენებული მსხვილფეხა პირუტყვის საერთო სულადობის მეოთხედია წარმოდგენილი; მათი საკვები ბაზა; აქ მოშენებული ძროხის ჯიშები და ამ ჯიშების შემდგომი სრულყოფის გზები.

**საკვანძო სიტყვები:** მესაქონლეობა; მთიანეთი; პრობლემები; ჯიშები.

**შესავალი**

საქართველოს მთის ზონაში, სადაც ტერიტორიის 40–60 % სათიბ-საძოვრებს უკავია, განვითარებულია სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგი – მესაქონლეობა, რომლის პროდუქციის საერთო რაოდენობა ბევრად აღემატება მეცხოველეობის ყველა სხვა დარგისა და მემცენარეობის შემოსავალს. მთაში მეცხოველეობის განვითარების სტრატეგიული ამოცანაა როგორც თითოეული ინდივიდის, ისე მთლიანად მოსახლეობის კვების მოთხოვნილების დაკმაყოფილება. აქ არის მესაქონლეობის ეფექტიანობისა და ეკონომიკური მწარმოებლურობის ამაღლების მნიშვნელოვანი, არარეალიზებული პოტენციალი. ამჟამად კლიმატის ცვლილებისა და სხვა ნეგატიური მოვლენების გამო დაიკარგა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მართვის ტრადიციული სისტემები, რის შედეგადაც მოხდა მიწის რესურსების ტრანსფორმაცია სქემით: სახნავი—სათიბი—საძოვარი—ამიტოვებული მიწები. მთებში ამინდის ცვლილებებმა შეიძლება ნეგატიური პროცესების მომატება გამოიწვიოს.

**ძირითადი ნაწილი**

მთაში მესაქონლეობის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები მეტად განსხვავებული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებისა და თავისებურების გათვალისწინებით მიზანშეწონილია განვიხილოთ ქვემოთ ჩამოთვლილი ზონების მიხედვით (ცხრილი 1).

**კავკასიონის მთიანეთის ზონაში მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა  
(ოპერატიული მასალა)**

რაიონები	მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა	მათ შორის ფურები	ფურების %
ამბროლაური	9671	5763	59,6
ონი	6237	2967	47,5
ლენტეხი	8738	4539	51,9
მესტია	15723	8925	56,7
ცაგერი	11271	5182	45,9
დუშეთი	25821	19193	74,3
ჯავა	მონაცემები არ არის		
<b>სულ</b>	<b>77461</b>	<b>46569</b>	<b>60,1</b>
დმანისი	22065	13726	62,2
წალკა	18737	11595	61,9
ნინოწმინდა	20335	14162	69,6
ახალქალაქი	22717	15236	67,1
ახალციხე	17560	9379	53,4
<b>სულ</b>	<b>101414</b>	<b>64098</b>	<b>63,2</b>
ხულო	36751	17348	47,2
შუახევი	26369	12416	47,1
ქედა	12499	5497	43,9
<b>სულ მთიან აჭარაში</b>	<b>75619</b>	<b>35261</b>	<b>46,6</b>
<b>სულ საქართველოს მთიანეთში</b>	<b>254494</b>	<b>145928</b>	<b>57,3</b>

**პირველ ზონაში შედის** მთავარი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე განლაგებული რაიონები (ამბროლაური, ონი, ლენტეხი, მესტია, ცაგერი, ჯავა და დუშეთი);

**მეორე ზონაში** – საქართველოს სამხრეთ მთიანეთში განლაგებული რაიონები (დმანისი, წალკა, ნინოწმინდა, ახალციხე და ახალქალაქი);

**მესამე ზონაში** – აჭარის მთის ზონაში განლაგებული რაიონები (ხულო, შუახევი, და ქედა).

მთავარი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე განლაგებულ რაიონებში მსხვილფეხა პირუტყვის საერთო რაოდენობაა 77461 სული, მ. შ. ფურებისა – 46569 (60,1 %). საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ზონაში განლაგებულ რაიონებში პროცენტის საერთო რაოდენობაა 101414 სული, მ. შ. ფურებისა – 64098 (63,2 %); აჭარის მთიანი ზონის რაიონებში, შესაბამისად, 75619 და 35261 (46,6 %). სულ საქართველოს მთიანეთში მსხვილფეხა პირუტყვის საერთო რაოდენობამ შეადგინა 254494 სული, მ. შ. ფურებისამ – 145928 (57,3 %) სული. ეს ქვეყნის მსხვილფეხა პირუტყვის საერთო სულადობის ერთ მეოთხედს წარმოადგენს.

მთავარი კავკასიონის კალთებზე განლაგებული რაიონების მექროხეობა ხასიათდება ფურების უაღრესად დაბალი პროდუქტიულობით. საკვების ნაკლებობა და უხარისხობა (გან-

საკუთრებით ზამთრის პერიოდში), ცხოველებისათვის განკუთვნილი შენობების მოუწყობლობა განსაკუთრებით უშლის ხელს მეცხოველეობის დარგის განვითარებას. კავკასიონის მთიანეთის ზონაში მოშენებულია ქართული მთის ჯიში.



**ნახ. 1. ქართული მთის ძროხა (ფშაური ჯილაგი)**

ადრე ეს ჯიში გავრცელებული იყო მთელ დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მტკვრის სანაპირომდე, მაგრამ XX საუკუნის მეორე ნახევარში მეტიზაციის გზით სხვა ჯიშებით იქნა შეცვლილი და მხოლოდ მთებშიდა შემორჩა, სადაც პირუტყვის საკვების სიმცირისა და სხვა ექსტრემალური პირობების გამო ახალი ჯიშების მოშენება შეუძლებელი იყო. მთის ჯიში გამოიყენება როგორც რძისა და ხორცის საწარმოებლად, ისე გამწვევ ძალად მინდვრის სამუშაოების შესასრულებლად.



**ნახ. 2. ქართული მთის ძროხა (ხევსურული ჯილაგი)**

აჭარის მთიან რაიონებში, სადაც რელიეფი, კლიმატი და ზოგიერთი სხვა ფაქტორი ზღუდავს, ხოლო ხშირ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის კულტურული მერძეული ჯიშების მოშენებას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს არსებულ მკაცრ პირობებთან კარ-

გად შეგუებული ადგილობრივი ქართული მთის საქონლის (აჭარული პოპულაციის) მომრავლებას და პროდუქტიულობის ამაღლებას. მთის საძოვრებზე ცხოველები მთლიანად კმაყოფილდებიან ყუათიანი ბალახით და კარგი სასმელი წყლით, თუმცა ზაფხულის საძოვრული პერიოდი შედარებით შეზღუდულია და გრძელდება მაისის პირველი ნახევრიდან პირველ ოქტომბრამდე. ამის შემდეგ წველადობა საგრძნობლად მცირდება და ლაქტაცია წყდება, რადგანაც იქ თოვლი დევს 5–7 თვის განმავლობაში (დამოკიდებულია საძოვრების სიმაღლეზე). აღსანიშნავია, რომ ცხოველს არ უჭირს მთის უმკაცრეს პირობებთან შეგუება. ამ ჯიშის საქონელი ტანად ძლიერ პატარაა (კარლიკური); ფურის სიმაღლე მინდაოში 98–102 სმ-ს შეადგენს, ხოლო ცოცხალი მასა, ჩვეულებრივ, პრიმიტიულ პირობებში შემოდგომით 180–220 კგ-ს აღწევს, გაზაფხულზე კი (ზამთრის მწირი კვების გამო) 20 %-ით ნაკლებია; წველადობა პრიმიტიულ პირობებში წლიურად 500–600 კგ-ს არ აღემატება, მაგრამ გაუმჯობესებულ პირობებში გადაყვანისას საშუალოდ 2000 კგ-მდე იზრდება, საუკეთესო ფურებისა კი 4000-4100 კგ-ია. ამ ჯიშის ძროხის თვისებებიდან აღსანიშნავია კარგი გაწველის უნარი, რძის მაღალი ცხიმოვანობა (4,2–4,9 %) და ცილიანობა (3,7–3,8 %); ამასთან, ერთ კგ ცოცხალ მასაზე დიდი რაოდენობით რძის მოცემა შეუძლია. მისი ხორცი გამოირჩევა საუკეთესო კულინარიული თვისებებით. ცხოველი უმეტესად შავი ფერისაა. მისი სხეულის აგებულება გამოირჩევა კუთხოვანი ფორმით, დაბალი კიდურებით და სხვა ემბრიონალიზმის ნიშნებით, რაც კარგი კვების პირობებში ნაკლებად შესამჩნევია [1,2].

ძროხის ეს ჯიში უნიკალური და უძველესია. საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნია ზუსტად ასეთი ძროხის ძვლები, რომლებიც ქრისტესწინა V ათასწლეულით არის დათარიღებული [3], ხოლო ამ ჯიშის შესახებ არსებული უძველესი წერილობითი წყაროებიდან აღსანიშნავია არისტოტელეს ცნობა (ძვ. წ. IV საუკუნე) [4] იმის შესახებ, რომ საქართველოში მოშენებულ ძლიერ პატარა ძროხებს შეუძლიათ ბევრი რძის მოცემა. ამგვარად, დიდი სამეურნეო მნიშვნელობის ქართული მთის ძროხა უნდა მივიჩნიოთ საქართველოს უძველესი მატერიალური კულტურის ერთ-ერთ ცოცხალ ძეგლად, რომელსაც შენარჩუნება, შემდგომი სრულყოფა და რაციონალური გამოყენება სჭირდება. ჩვენში მეძროხეობის განვითარების მომავალს განსაზღვრავს საკვების წარმოება, რომელიც სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს პირუტყვის მოთხოვნილებას საკვებზე.

დღეისათვის ამ რეგიონების სოფლისპირა საკვები სავარგულები ძლიერ დაბუჩქიანებული, დასარეველიანებული და დაბალმოსავლიანია. ამ სავარგულების საშუალო მოსავლიანობა 0,5–0,6 ც/ჰა ჭამადი მასაა. უმეტესი ფართობები დასარეველიანებულია ისეთი შხამიანი და არაჭამადი მცენარეებით, როგორცაა: გვირილების სხვადასხვა სახეობა, ხრიალა, ნარები და სხვ. ამ სავარგულებიდან მიღებული საკვები (სასაძოვრე ბალახნარი და თივა) დაბალყოფიანია და ხშირ შემთხვევაში ცუდად ჭამადი. ასეთი საკვებით უზრუნველყოფილი საქონელი დაბალპროდუქტიულია, რძე ნაკლებად ტექნოლოგიურია და წონამატიც დაბალია. მაღალმთიანი სათიბებიდან საკვების დამზადება და ტრანსპორტირება დაკავშირებულია ფერმერებისათვის ხელმიუწვდომელ ხარჯებთან.

რეგიონში მეცხოველეობის საკვები ბაზის მოწესრიგების, რძისა და ძროხის ხორცის წარმოების გაზრდის მიზნით საჭიროა: ნასვენნი ყამირი, დაბუჩქნარებული, დასარეველიანებული სავარგულების გაუმჯობესება; საკვების ყუათიანობის ამაღლება; მოსავლიანობისა და სასაძოვრე ბალახნარის საკვებად ვარგისი მასის გაზრდა.

საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებით მთიან ზონებში მკვეთრად იზრდება საძოვრებისა და სათიბების მოსავლიანობა და საკვების ხარისხი. ამის კარგი მაგალითია შვეიცარიის ალპები, სადაც ერთი საჰექტრო მოსავალი 5–6 ტ-ს შეადგენს.

საზღვარგარეთის მსგავსად ქართული მთის ჯიშის შემდგომი სრულყოფისათვის უნდა შეიქმნას ჯიშის მომშენებელთა გაერთიანებები (კოოპერატივები). ჩვენში ასეთი გაერთიანების (ასოციაციის) შექმნა ფრიად სასარგებლო იქნება საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობისათვის. პირუტყვის სწრაფ ჯიშობრივ გაუმჯობესებასა და პროდუქტიულობის ამაღლებასთან ერთად იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს მეცხოველეებს როგორც თავისი სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის, ისე სათანადო იარაღებისა და მოწყობილობების, დამატებითი საკვების შეძენის, ზოტექნიკურ-სავეტერინარო მომსახურებისა და ყველა სხვა ისეთი საკითხის საერთო ძალით მოგვარებაში, რომელთა დამოუკიდებლად განხორციელება ცალკეული ფერმერებისათვის საკმაოდ რთულია.

კავკასიონის მთიანეთთან შედარებით მეძროხეობის განვითარებისათვის ბევრად უკეთესი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ნაწილი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ მთიანეთის ზონის ის ნაწილია, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ზ. დ. 1300–2200 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს და ვაკეა, ხოლო მთის კალთები კავკასიის მთის კალთებთან შედარებით გაცილებით ნაკლებად არის დაფარული, ამიტომ არ ბრკოლდება მინდვრის სამუშაოთა მექანიზაცია და ბევრად უკეთესია მეცხოველეობის საკვები ბაზა (მეორე ზონა).

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ამ ზონაში კავკასიის მოსაზღვრე რესპუბლიკათა მეცხოველეების მონაწილეობით გამოყვანილია ძროხის ახალი ჯიშ – კავკასიური წაბლა, რომელშიც შეჯვარების გზით ხელსაყრელად არის შეხამებული გამაუმჯობესებელი შვიცური ჯიშის დიდი ცოცხალი მასა და წველადობა ადგილობრივი პირუტყვის გამძლეობასთან, გარემოსთან შეგუებასა და რძის ცხიმოვანობასთან. ახალმა ჯიშმა დიდი მოწონება დაიმსახურა და სწრაფად გავრცელდა მთელ საქართველოში, სადაც სულადობით ბევრად გაუსწრო ძროხის ყველა სხვა ჯიშს, და ამჟამად იგი სამხრეთ მთიანეთის რაიონებში გავრცელებული ძროხის ერთადერთი სახეობაა. მისი პროდუქტიულობა კომბინირებულია (სარძეო-სახორცე), აქვს ნაცრისფერი, ფურების საშუალო სიმაღლე 123–125 სმ-ია, ცოცხალი მასა – 420–460 კგ, ხოლო წლიური წველადობა ჩვეულებრივი, საკმაოდ მწირი კვების პირობებში 2400–2600 კგ-ს შეადგენს, რძის ცხიმოვანობა – 3,8-4,0 %-ს. შედარებით კარგ პირობებში საშუალო წველადობამ 4400 კგ-ს მიაღწია. წველადობის რეკორდი (IV ლაქტაციის 305 დღეში 8789 კგ რძე, 3,95 % ცხიმოვანობით) ეკუთვნის ყოფილი ბაშკიჩეთის სახელმწიფო მეურნეობის ფურს, რაც ჯიშის კარგ პოტენციურ შესაძლებლობაზე მიუთითებს [5].

ფირმა „ნიკორას“ დამხმარე მეურნეობაში (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. გამარჯვება) ჩატარებულმა სამეცნიერო კვლევებმა ჯიშის საკმაოდ კარგი სახორცე თვისებები გამოავლინა. საცდელად ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში შესყიდულ იქნა მოზერები 4-5 თვის ასაკში (70–130 კგ ცოცხალი მასით). დამხმარე მეურნეობას არ გააჩნდა საძოვარი, ამიტომ მოზერები ბაგურ კვებაზე იმყოფებოდნენ. კვლევის პერიოდში ძირითადად ადგილზე დამზადებული კონცენტრირებული საკვებით (სიმინდი – 35 %, ქერი – 35 %, ხორბალი – 30 %) და თივით იკვებებოდნენ. ნორმის მიხედვით ეძლეოდათ სუფრის მარილი. ამ პერიოდში საშუალოდ ერთ ცხოველზე დაიხარჯა 2595 საკვები ერთეული და 198,9 კგ მონელებადი პროტეინი. ულუვის სტრუქტურაში კონცენტრირებული საკვების კუთრმა წილმა 52,4 % შეადგინა.

მე-2 ცხრილის მონაცემების მიხედვით ცდის დასაწყისში მოზერების ცოცხალი მასა იყო  $96,5 \pm 4,41$  კგ (ერთი სიგმის ფარგლებში მერყეობდა 80–130 კგ-ის საზღვრებში). 6 თვის ასაკში ცხოველის საშუალო ცოცხალმა მასამ მიაღწია  $288,1 \pm 4,29$  კგ-ს (მასის მერყეობამ – 272,0–304,2 კგ-ს); 15 თვის ასაკში –  $382,8 \pm 5,22$  კგ-ს ( $\pm 1\sigma = 363,34 - 02,3$  კგ-ს), ხოლო ცდის ბოლოს – 19 თვის ასაკში –  $467,2 \pm 2,73$  კგ-ს ( $\pm 1\sigma = 457 - 477,4$  კგ-ს).

მოზერების ცოცხალი მასის დინამიკა (n=14)

ასაკი, თვე	ცოცხალი მასა, კგ	σ	Cv	მერყეობა ერთი სიგმის ფარგლებში, კგ	
				+1σ	-1σ
4	95,5 ± 4,41	16,5	17,1	113,0	80,0
5	106,9 ± 4,17	15,6	14,6	122,5	91,30
6	129,0 ± 3,97	14,8	11,5	143,8	114,2
9	203 ± 6,55	24,5	12,0	227,8	178,8
12	288,1 ± 4,29	16,1	5,6	304,2	272,0
15	382,8 ± 5,22	19,5	5,1	402,3	363,3
19	467,2 ± 2,73	10,2	2,2	477,4	457,0

საცდელი მოზერების საკონტროლო დაკვლა ჩატარდა 15 და 19 თვის ასაკში (ცხრილი 3).

საკონტროლო დაკვლის შედეგები (n=3)

მაჩვენებელი	15 თვე			19 თვე		
	M±m	σ	Cv	M±m	σ	Cv
დაკვლის წინა ცოცხალი მასა, კგ	350 ± 6,30	14	4,0	436,0 ± 3,55	7,93	1,0
ტანხორცის მასა, კგ	192,6 ± 3,40	7,5	3,9	242,6 ± 2,46	5,5	2,2
ცხიმის მასა, კგ	10,5 ± 0,43	0,98	19,3	11,9 ± 0,8	1,8	15,1
ნაკლავის მასა, კგ	203,1 ± 3,8	8,5	4,1	254,5 ± 0,8	7,34	2,88
ტანხორცის გამოსავალი (%)	55,0 ± 0,01	0,04	1,7	55,65 ± 0,12	0,27	0,4
ნაკლავის გამოსავალი (%)	58,0 ± 0,04	0,11	0,1	58,4 ± 0,27	0,62	0,1

აღმოჩნდა, რომ 15 თვის ასაკში საცდელი ცხოველების მომწიფებული და კუნთსავსე ტანხორცი იწონიდა 192,6 კგ-ს, ორგანიზმში დაგროვილი ცხიმი კი – 10,3 კგ-ს. სახორცე პროდუქტიულობის ძირითადი მაჩვენებლები (ტანხორცისა და ნაკლავის გამოსავალი) შეადგენდა შესაბამისად 55 და 58 %-ს, რაც კავკასიური წაბლა ჯიშისათვის (ნახ. 3) მაღალ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. 19 თვის ასაკში სახორცე პროდუქტიულობამ საგრძნობლად მოიმატა: ტანხორცი გახდა უფრო მეტად მომწიფებული, მასა გაიზარდა დაახლოებით 59 კგ-ით (21,8 %) და მიაღწია 242,6 კგ-ს. საშუალოდ 1,6 კგ-ით (13,5 %) გაიზარდა შინაგანი ცხიმის მასა. ტანხორცის გამოსავალმა მიაღწია 55,65 %-ს, ხოლო ნაკლავის გამოსავალმა – 58,4 %-ს, რაც 0,4 %-ით აღემატება 15 თვის ასაკის მაჩვენებელს.



ნახ. 3. კავკასიური წაბლა (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი)

საცდელი ცხოველების ზრდა-განვითარებისა და სახორცე პროდუქტიულობის ანალიზმა დაადასტურა, რომ, 4-დან 15 თვის ასაკამდე ცხოველთა საშუალო სადღეღამისო წონამატმა შეადგინა 867,5 გ, ხოლო მათი ტანხორცის წონამატმა იმავე პერიოდში – 438,2 გ (ნაკლავის გამოსავალი 4 თვის ასაკში პირობითად ჩაითვალა 50 %). 15-დან 19 თვის ასაკამდე ცხოველის სადღეღამისო წონამატმა შეადგინა 703 გ, ხოლო ტანხორცის ნამატმა – 416,6 გ. ტანხორცის წონამატმა ბოლო 4 თვის განმავლობაში დაიკლო 22 გ-ით, ანუ 6,12 %-ით. ამდენად, კავკასიური წაბლა მალმწიფადი ჯიშია და ინტენსიური კვების პირობებში ადრეულ ასაკში ამთავრებს ზრდას. ჯიშის მალმწიფადობაზე მეტყველებს ტანხორცის მორფოლოგიური შედგენილობა (ცხრილი 4)

**ცხრილი 4**

**ტანხორცის მორფოლოგიური შედგენილობა (n=3)**

დაკვლის ასაკი, თვე	ნახევრად ტანხორცი, კგ	კუნთი		ძვალი		მეხვები		მეხორცული კოეფიციენტი
		კგ	%	კგ	%	კგ	%	
15 თვე	97,9±2,9	81,2±2,2	82,9	13,6±0,4	14,1	3,1±0,05	3,2	4,79
19 თვე	121±1,2	99,0±1,1	81,8	18,3	15,1	3,5±0,15	2,9	4,46

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემები ადასტურებს 15 თვის ასაკში მოზვრების მეხორცული კოეფიციენტი იყო 4,79; 19 თვის ასაკში კი ამ მაჩვენებელმა დაიკლო 4,46 მდე. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ასაკში ყოველ ერთ კგ ძვალზე მოდიოდა 330 გ-ით ნაკლები კუნთი.

ხორცის წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლები გათვლილია ფულადი ფორმით 2004-2005 წლების ლარის კურსით და საკვების ანაზღაურების მიხედვით, რომელიც ძროხის ხორცის წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია (ცხრილი 5). დადგენილ იქნა, რომ 4-დან 6 თვის ასაკამდე ერთ კილოგრამ წონამატზე გახარჯულია 5,58 საკვები ერთეული; 6-დან 9 თვემდე – 4,9, 6-დან 12 თვემდე – 5,9, 12-დან 15 თვემდე – 6,8, 15-დან 19 თვემდე – 10,7, ხოლო მთელი ცდის განმავლობაში – 4-დან 19 თვემდე – 5,9 საკვები ერთეული. 15 თვის ასაკამდე გამოზრდისას მთლიან დანახარჯებში საკვების ღირებულებამ შეადგინა 74,65

%, ანუ 301,7 ლარი, რენტაბელობამ – 46,3 %. 19 თვის ასაკამდე გამოზრდისას ეკონომიკური მაჩვენებლები შეიცვალა შემდეგნაირად: საერთო დანახარჯების ჯამიდან საკვების დანახარჯი იყო 67,6 %, რაც გამოიწვია ცხოველების ასაკის მომატებისას მეტი უხეში (იაფი) საკვების მოხმარებამ. ამავდროულად მისი გამოზრდის ღირებულება გაიზარდა 252 ლარით (35,1 %) და შეადგინა 747,3 ლარი. აღნიშნული პროდუქციის რეალიზაციით მიღებულია 1213,2 ლარი, რაც 261 ლარით (21,5 %) მეტია, ვიდრე ცხოველის 15 თვემდე გამოზრდისას. მოგებამ ერთ სულზე შეადგინა 239,1 ლარი, რენტაბელობამ – 24,5 %. ანალიზმა ცხადყო, რომ კავკასიური წაბლა ჯიშის მოზერების გამოზრდა და სუქება ეკონომიკურად მეტად ხელსაყრელია 15 თვის ასაკამდე, როდესაც ხორცის წარმოების რენტაბელობაა 46,3 %. ასაკთან ერთად მოზარდის წონამატი იკლებს (ცხიმის ინტენსიური დაგროვების ხარჯზე) და ხორცის წარმოება ხდება ნაკლებად რენტაბელორი.

### ცხრილი 5

#### ძროხის ხორცის წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლები ერთ სულზე 2004-2005 წლებში

მაჩვენებლები	15 თვე		19 თვე	
	რაოდენობა	ფასი, ლარი	რაოდენობა	ფასი, ლარი
დანახარჯები:				
საკვები	–	485,3	–	747,3
ხელფასი	–	13,2	–	18
ელექტროენერჯია	180 კვტ	144	245,1 კვტ	196,008
წყალი	10 მ <sup>3</sup>	8	16 მ <sup>3</sup>	12,8
მთლიანი დანახარჯი	–	650,5	–	974,1
შემოსავალი: ტანხორცი	192,6 კგ	866,7	242,6 კგ	1105,20
ტყავი	24,0 კგ	360	31,0 კგ	46,5
თანაური პრიდუქტები	45 კგ	50,2	54,6 კგ	61,5
შემოსავალი, სულ	–	952,2	–	1213,2
მოგება	–	301,7	–	239,1
რენტაბელობა, %	–	46,3	–	24,5

მაღალგანვითარებული მეცხოველეობის მქონე ქვეყნების მსგავსად კავკასიური წაბლას ჯიშის შემდგომი სრულყოფისათვის საჭიროა სამხრეთ მთიანეთის ზონაში მოეწყოს მომშენებელთა გაერთიანებები, რაც არა მარტო დააჩქარებს ჯიშის შემდგომ სრულყოფას, არამედ შესაძლებელს გახდის ბარის რაიონებისათვის (რომლებსაც არ გააჩნიათ ხბოს ნორმალურად გამოზრდისათვის საჭირო საძოვრები) ყოველწლიურად ათასობითი სული მაღალპროდუქტიული ფურის და გასასუქებელი მოზერის მიყიდვას და ამით ვაკუუმის შევსებას, რომელიც ყოფილი სანაშენე მეურნეობებიდან და რუსეთიდან პირუტყვის დიდი რაოდენობით შემოყვანის შეწყვეტის შედეგად შეიქმნა.

ამჟამად მთავარ პრობლემას წარმოადგენს ცხოველთა საკვები ბაზა. დიდია სათიბებისა და საძოვრების კუთრი წილი საკვებთა ბალანსში, სადაც წარმოებული საკვების 80–90 % (და ზოგ შემთხვევაში მეტიც) სწორედ ამ სავარგულებიდან მიიღება. წინა წლებში ერთ ფურზე საშუალოდ იხარჯებოდა 15–17 ც საკვები ერთეული, ხოლო მისი პროდუქტიულობის



მაღალი დონის გამოვლინებისათვის სულ ცოტა 3-ჯერ მეტი იყო საჭირო. დღეისათვის საკვების წარმოება ერთ ცხოველზე გაანგარიშებით გაცილებით დაბალია. ჩვენში პირუტყვის საკვების ნაკლებობის მთავარი მიზეზია მისი წარმოების ექსტენსიურობა, შემუშავებული არ არის ბუნებრივი და კულტურული საკვები სავარგულების მოსავლიანობის ამაღლებაზე სისტემატური ზრუნვის ის ტრადიცია, რაც, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებს აქვს და ჩვენთვისაც განსაკუთრებით საჭიროა. მცირემიწიანობის პირობებში პირუტყვის გამოკვებისათვის აუცილებელია ყოველ ჰექტარზე მაღალი მოსავლის მიღება. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში აღინიშნება რძის წარმოების სეზონურობა. დაახლოებით 75–80 % რძე იწარმოება გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში.

ქვეყანაში ბუნებრივი საძოვარი სტიქიურად გამოიყენება, ანუ ხდება ცხოველების მიერ საძოვრის ე. წ. „თავისუფალი გაძოვება“, რაც გულისხმობს საძოვარი ფართობის გამოყენებას ისე, რომ არ არის გათვალისწინებული: საძოვრის მოსავლიანობა და დატვირთვა, ე. ი. ფართობის ერთეულზე სულადობის კონცენტრაცია; ძოვების ხანგრძლივობა; ბალახნარის ბოტანიკური შედგენილობა და პროდუქტიულობა; ცხოველთა დაჯგუფება სქესის, ასაკისა და ფიზიოლოგიური მდგომარეობის მიხედვით. ამ მდგომარეობის გამო დღეს ბუნებრივი საძოვრების ცენოზში, განსაკუთრებით სოფლისპირა და სხვა ტიპის დასახლებული პუნქტების მახლობლად აღინიშნება სასარგებლო ბალახეულის კუთრი წილის შემცირება და სარეველების ზრდა, ასევე საძოვრების საერთო მოსავლიანობის შემცირება. არსებული „თავისუფალი გაძოვების“ მეთოდის ალტერნატიულ ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ ნაკვეთმორიგეობითი ძოვება, რაც ფერმერის (ფერმერთა გაერთიანების ან გლეხური მეურნეობის) საძოვარი ნაკვეთის 4–5 თანაბარ ნაწილად დაყოფას და მათ 5–7 დღის განმავლობაში მორიგეობით ძოვებას გულისხმობს [6].

ფ. ჩხეიძის [7] მიერ ჯავახეთის მაღალმთიან ზონაში ჩატარებული მრავალწლიანი ცდებისა და ამ ცდების შედეგების პრაქტიკულად დანერგვის საფუძველზე შესაძლებელი გახდა დაბალპროდუქტიული ყამირი ფართობების სწრაფი დამდელობა და მოკლე დროში ამ სავარგულების ბალახნარის მოსავლიანობის გაზრდა. გაუმჯობესებული ნაკვეთებიდან მიღებული ხარისხიანი თივის მოსავლიანობა შეადგენს 4,5–5 ტ/ჰა-ს.

## დასკვნა

რეგიონში მესაქონლეობის რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება, ეკონომიკურად გამართლებული, ეკოლოგიურად უსაფრთხო და იაფი პროდუქციის წარმოება შესაძლებელია, უპირველეს ყოვლისა, მდგრადი საკვები ბაზის ორგანიზაციის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს დარგის მოთხოვნილებებს ყველა სახის სრულფასოვან საკვებზე.

გლეხური და ფერმერული მეურნეობის პირობებში ახლებურ მიდგომას მოითხოვს ხელოვნურად დათესვლის ორგანიზაცია. ხელოვნური დათესვლის ქსელი შეცვლილი ფუნქციებით უნდა აღდგეს, რათა შესაძლებელი გახდეს ხელოვნური განაყოფიერება. საქართველოში ამ მხრივ დიდი პრაქტიკული გამოცდილება და მატერიალური ბაზა აქვს ასოციაცია „კავკასიის გენეტიკას“.

მთის მესაქონლეობის განვითარების ერთ-ერთი გზა ეკოლოგიური მეცხოველობის განვითარებაა. ბიოპროდუქციაზე მზარდმა მოთხოვნილებამ და მაღალმა ფასებმა მრავალ ქვეყანაში განაპირობა მთის რეგიონების წინსვლა [8, 9].

მრავალი ქვეყნის მაგალითმა დაადასტურა, რომ მთის მესაქონლეობის განვითარების წარმატება მიღწეულია იქ, სადაც აქტიურად გამოიყენება მეცნიერთა მიღწევები. ამჟამად

ჩვენს ქვეყანაში აგრარული მეცნიერება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოწინავე პოზიციებზე დგას.

დღეისათვის მთიანეთის პრობლემებით დაკავებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. აქ შექმნილია საქართველოს მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისია. მეცხოველეობის სრულყოფისა და პროდუქტიულობის ამაღლების საკითხებს შეისწავლის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, სადაც ჯიშებს იკვლევენ ადგილობრივი პირობების (კლიმატი, რელიეფი, საკვები სავარგულები, ფართობები და მოსავლიანობა, ბალახის ბოტანიკური შედგენილობა და საკვების ქიმიური ანალიზი) გათვალისწინებით.

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. ნ. გოცირიძე. რძისა და ძროხის ხორცის წარმოების ტექნოლოგია. თბ., 1997. - 515 გვ.
2. Осикина Р. В. Молочная продуктивность, качество и технологические свойства молока коров горного скота Грузии. Автореф. Дис. канд. с. х. наук. Тб., 1987. - 20 с.
3. Цицишвили А. Домашний крупный рогатый скот и овца Грузии (По материала археологических раскопок). Док. дис., Ереван, 1970.- 243 с.
4. Каухчишвили С. Сведения греческих писателей о Грузии. Кн. III., Тб., 1976, с. 90, 91.
5. Гоциридзе Н. К. Крупный рогатый скот Грузии и методы его совершенствования. Докт. дис. ВИЖ, Дубровицы, 1977.
6. გ. აგლაძე. საძოვრისა და სათიბის რაციონალური გამოყენების თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული ხერხები. თბ., 2008. - 105 გვ.
7. Чхеидзе А. Влияние удобрения на луговые травы и фитоценозы Южного Нагорья Грузии. Автореф. Дис. канд. биолог. наук. Тб., 1987. - 24 с.
8. Тортладзе К. Горное скотоводство Грузии – важный резерв производства биологической продукции. Известия Национального Аграрного Университета Армении, №3 (43), 2013, с. 48-50.
9. ლ. თორთლაძე. ბიოპროდუქციის წარმოების პერსპექტივები ხევსურეთში. წიგნში „ხევსურეთი.“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; საქართველოს მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისია. თბ., 2015, გვ. 105-115.

### EXISTING PROBLEMS OF CATTLE-BREEDING IN THE MOUNTAINOUS AREAS OF GEORGIA

**L. Tortladze**

(Georgian National Academy of Sciences, Scientific-Research Centre of Agriculture Ministry of Agriculture of Georgia, Georgian Agrarian University)

**Resume:** There is discussed the current situation of mountain cattle breeding in Georgia, where a quarter of the country's total live-stock population is concentrated. The characteristic of breeds bred in this zone and the ways for their improvement are given.

**Key words:** breeds; cattle-breeding; mountainous areas; problems.

## СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО

### ПРОБЛЕМЫ ГОРНОГО СКОТОВОДСТВА ГРУЗИИ

**Тортладзе Л. А.**

(Национальная академия наук Грузии, Сельскохозяйственный научно-исследовательский центр Грузинского сельскохозяйственного министерства, Грузинский Аграрный университет)

**Резюме.** Рассматривается состояние горного скотоводства Грузии, где сосредоточена четверть общего поголовья скота страны. Дается характеристика разводимых в этой зоне пород и пути по их улучшению.

**Ключевые слова:** горные регионы; породы; проблемы; скотоводство.